ეროვნული ბიბლიოთეკა

30-ს ვლისს. № 17 1887 წელსა.

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ოთხჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს ᲓᲐ ოც-და-ათ რიცხვებში.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად | 5 მან. |
| ნახევარი წლის — — | 3 — |
| «მწყემსი» რუსული დამატებით — | 6 — |
| ნახევარი წლით — — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით — | 3 — |
| ნახევარი წლით — — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატეია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამართველოსაგან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამართველო ამით უცხადებს მშობელთ, რომელთაც სურსთ ამ სასწავლებელში ყმაწვილების შემოყვანა, რომ მომავალის $188^7/_8$ სასწავლებო წლისათვის ამ სასწავლებელში და მოსამზადებელ კლასებში არის სულ 149 ვაკანსია. ამათში მეოთხე კლასში არის 25 ვაკანსია; მესამეში—16; მეორეში—8; ზედა მოსამზადებელ კლასში—11; მეორე მოსამზადებელში—4 და დასაწყის განყოფილებაში—85.

2) მოსამზადებელი კლასის პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები შვიდი წლიდგან არა უმეტეს ცხრა წლისა.

3) ამ განყოფილებაში ყმაწვილები მიიღებიან უეგზამენოდ, მაგრამ, თუ მსურველთა რიცხვი აღემატა თავისუფალ ვაკანსიებს, მაშინ ყმაწვილები იქმნებიან მიღებული გამოცდით; შემდეგ კლასებში ყმაწვილები მიიღებიან კლასის შესაბამი ცოდნით და წლოვანობით.

4) თხოვნები ყმაწვილების მიღებაზე შემოტანილ უნდა იქმნენ სასწავლებლის ზედამხედველის სახელობაზე. თხოვნასთან უნდა წარმოადგინონ მოწმობანი ყმაწვილის შობის და მონათვლისა და მასზედ, რომ ყმაწვილს ან უხდია და ან აცრილი აქვს ყვავილი.

5) განმეორებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყება 25 აგვისტოდამ და გაგრძელდება ამა თვის 28.

## რა არის საჭირო მწყემსთა და სამწყსოთა შორის სასურველი განწყობილებისა და დამოკიდებულებისათვის? *)

ნასწავლ-მღვდელთა საყურადღებოდ.

სტატია მეოთხე.

დიდად შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ მწყემსთა და სამწყსოთა შორის სასურველი დამოკიდებულებისა და განწყობილებისათვის საკმარისი იყოს მღვდლების მხრით ყოველ გვარი მღვდელ-

*) იხ. „მწყემსი“ 1887 წ., № 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედების დაუზარებლად აღსრულება და ქადაგების და მოძღვრების წარმოთქმა ეკკლესიაში. მოძღვარს ბევრი სხვა მოვალეობაც აქვს ვალად დადგენილი, თუმცა, ერთი შეხედვით, ზოგიერთს არც კი ეჩვენება მღვდლის მოვალეობად ის, რასაც ჩვენ ვიტყვით ქვემოთ.

ზოგიერთ სოფელში და ხშირად მთელს სამრევლოში მღვდლის გარდა არ მოიპოვება არც ერთი ნასწავლი კაცი. ამიტომ მთელი მრევლი ყოველ საჭიროების დროს მიჰმართავს ხოლმე თავის მოძღვარს. მრევლს მრავალი საჭიროება და მრავალი კითხვა აქვს ასახსნელი და განსამარტებელი. ვისთან მივიდეს ის ამ კითხვების განსამარტებლად? ვის უნდა მიაშუროს მან ამ კითხვების ასახსნელად, თუ არა თავის მოძღვარს? მწყემსი ამ შემთხვევაში ანთებული სანთელია, რომელიც ყველას უნდა უნათებდეს. საკმაო არ არის მღვდლისათვის, რომ მან მარტო სარწმუნოების და ზნეობის შესახები კითხვები განუმარტოს მრევლს. მღვდელი მოვალეა აგრეთვე აუხსნას მრევლს ზოგიერთი საჭირო კითხვები, რომლის უცოდინარობით მრევლი დიდს გაჭირებაშია ხშირად ჩავარდნილი.

საზღვარ გარეთ ფრანგთა სამღვდელოება ყველაფერია თავის სამწყსოსათვის. ის თავის სამრევლოისათვის მოძღვარიც არის, მასწავლებელიც, ექიმიც და დამცველიც. ერთი სიტყვით, გაჭირების ტალკვესიაო, რომ იტყვიან, სწორეთ ეს მღვდლები არიან. მაგრამ ამ მღვდლებს ზოგიერთ ჩვენებურ მამებივით გიშრის და ქარვის «კრიალოსნები» კი არ უკავიათ ხელში და იმას კი არ ითვლიან უსაქმო კაცებივით. არა, ისინი მუდამ გონებით ვარჯიშობენ, ბევრს ცდილობენ, კითხულობენ სხვა-და-სხვა წიგნებს, გაზეთებს და ჟურნალებს და ამიტომაც გონებით თავის სამწყსოზედ ძლიერ მაღლა და წინა სდგანან. ესე უნდა მოიქცნენ ჩვენი ეხლანდელი ნასწავლი მღვდლებიც, რომ გონებით უკან არ ჩამორჩენ თავიანთ სამწყსოთა. ნურავინ იფიქრებს, რომ სემინარიაში ანუ აკადემიაში მიღებული სწავლა მისთვის მთელ ცხოვრებაში საკმაოა და საჭირო აღარ იყოს მათთვის წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. ვინაც ცხოვრების სკოლაში ნიადაგ არ ვარჯიშობს, მას მალე დაავიწყდება ისიც, რაც შეუძენია სასწავლებლებში. ამის მაგალითებს ბევს ვხედავთ ჩვენ ცხოვრებაში და ამისათვის ამის დასამტკიცებლად დროს აღარ დავკარგავთ. საკმაოა მხოლოდ, მიიხედ მოიხედოთ ჩვენში, რომ დარწმუნდეთ ჩვენგან ნათქვამი სიტყვების სიმართლეში...

ზოგიერთი მღვდელი ერთ რომელიმე საერო წოდების ჟურნალს ან გაზეთს გამოიწერს და ფიქრობს, რომ მხოლოდ მისი კითხვით შეიძენს ყოველივე საჭირო სწავლას. ამისთანა მღვდლები ძლიერ მოტყუებულნი დარჩებიან.

კეთილი სწავლისა და გამოცდილების შესაძენად და გონების სავარჯიშოდ მღვდლისათვის ყოველ გვარი ჟურნალ-გაზეთის კითხვა არ არის საჭირო და სასარგებლო; მღვდლისათვის საჭიროა მისი წოდების შესაფერისი საკითხავი წიგნების კითხვა. საერო წოდების ჟურნალ-გაზეთებში მღვდელი ხშირად საჭირო ცნობებს ვერ ამოიკითხავს. საოხუნჯო ჟურნალ-გაზეთებში ის ვერ ნახავს სასარგებლო სწავლა-დარიგებას თავის სამწყოსათვის. სამწუხაროდ, ეს ნაკლულევანება ძლიერ შემჩნეული არის ეხლა ჩვენს სამღვდელოებაში. ამას წინეთ მოყვანილი იყო სტატისტიკური ცნობა ყველა დრო გამოშვებით გამოცემათა, რომელთაც ქალაქ ტფილისში იღებენ რუსეთიდგან. სპეციალური ჟურნალ-გაზეთები სასულიერო წოდებათათვის თითო ორ-ორი ეგზემპლიარი აღმოჩნდა გამოწერილი, მაგრამ საოხუნჯო ჟურნალი «სტრეკოზა» და «ნივა» კი შვიდას-შვიდასი ეკზეპლიარი! ეს ცხადათ ამტკიცებს ჩვენი საზოგადოების გონების დამდაბლებას და ქარაფშუტობას...

ჩვენი სამღვდელოების ნამეტან ნაწილს კიდევ სძინავს და ჟურნალ-გაზეთების კითხვის მადა და ხალისი ჯერეთ არ გაღვიძებია, მაგრამ არ გვეგონა, თუ საერო წოდებაც ასე გულ გრილი იყო ჟურნალ-გაზეთების კითხვაზე. სამწუხარო მოვლენაა სწორეთ!.. სამღვდელოთა და სამრევლოთა გულ-გრილობა ამ მხრით ცხადათ აღმოჩნდა ღვთის-მშობლის სახელობაზე დაარსებული ძმობისაგან გამოცემული წიგნაკების გავრცელების შესახებ. ამ ძმობის გამგეობის მონდობილებით ჩვენ გამოვეცით თერთმეტი ნომერი ამ წიგნაკებისა და დაურიგეთ ბლაღოჩინებს მრევლის მღვდლებზე დასარიგებლად. თითო წიგნაკი ღირდა ორი კაპეიკი, მაგრამ ამ წიგნაკების ფასი დღესაც არ არის წარდგენილი ზოგიერთი ბლაღოჩინებისაგან. ზოგიერთ ბლაღოჩინებს თურმე ჯერეთაც არ დაურიგებიათ წიგნაკები მღვდლებისათვის წასაკითხავად!..

ეხლანდელმა ჩვენმა ნასწავლმა მღვდლებმა ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ და საზოგადოება მიაჩვიონ ზნეობრივი და სარწმუნოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი შინაარის წიგნების და ჟურნალების კითხვას. ძლიერ გონივრულად არის ნათქვამი: «როგორისთანა მღვდელიო, იმისთანა მრევლიო». ყველა მღვდელი უნდა ცდილობდეს, რომ თავისი სამწყსო ამაღლოს გონებით, რომ ამ ანდაზის სიტყვებს წარმოსთქვამდენ დასაცინებლად კი არა, არამედ საქებად მწყემსთა და მხოლოდ მაშინ მიენიჭება მღვდლებს სამწყსოსაგან ის პატივი და დიდება, რომელსაც ისინი დღეს არიან მოკლებულნი.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

---

## ჩემი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები რუსეთში მოგზაურობის დროს. *)

რვა მაისს, ნაშუადღევს ოთხ საათზე შევედით პეტერბურგში. ამ დღესვე დავბინავდით ერთ სასტუმროში, რომელიც წინ-და-წინ გვქონდა ამორჩეული. ეს სასტუმრო არის ანიჩკინის სასახლის სიახლოვეს, ნევსკის პროსპექტზე, თითქმის პეტერბურგის შუა და გამოჩენილ ადგილზე. პეტერბურგში პირველად მიმსვლელ ჩვენებურ კაცს მეტად გააკვირვებს ხალხის მოძრაობა, განსაკუთრებით ნევის პროსპექტზე...

აქ ნამეტნავად ვიგრძენ ჩვენი საყვარელი და საწყალი სამშობლოს მოშორება. მოვნახე ტელეგრაფის სადგური, შევედი შიგ და მივეცი ტელეგრამმა ყვირილაში გამოსაგზავნათ. ტელეგრაფის სადგურშიდ მმართველად ქალი იყო, რომელმაც თავაზიანათ ჩამომართვა გასაგზავნი ტელეგრამმა და მთხოვა სკამზე დაჯდომა. წაიკითხა ტელეგრამმა და დასდვა სტოლზე. მერე მოჰყვა რაღაცას ძებნას წიგნებში და კარგა ხანი ეძება. ბოლოს მკითხა: «ქალაქი ყვირილა ჩვენს რუსეთის სახელმწიფოში არის, თუ სხვა სახელმწიფოში». მე სიცილი მომივიდა ამ სიტყვებზე და უთხარი, რომ ყვირილა შიგ შუა-გულ საქართველოში არის მეთქი, კავკასიის აქეთა მხარეს, ზედ რკინის გზის ერთ სადგურთან... მერე ადვილად მიაგნო!...

მეორე დღეს, მაისის ცხრას, წმიდა ნიკოლოზის დღესასწაულ დღეს წირვაზე წავედი პეტერბურგის ალექსანდრე-ნეველის შესანიშნავ ლავრაში. ამ დღეს აკურთხეს აქ ეპისკოპოსად მოგილევის მონასტრის წინამძღვრად ყოფილი არქიმანდრიტი ვლადიმერი ნარვის ეპისკოპოსად, მესამე ვიკარად პეტერბურგის ეპარქიისა. კურთხევა შეასრულა პეტერბურგის მიტროპოლიტმა ისიდორემ. კურთხევაში მიიღეს მონაწილეობა: მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ, საქართველოს ექსარხოსმა არქიეპისკოპოსმა პავლემ, კაზანის არქიეპისკოპოსმა პალადიმ, ირკუტსკის არქიეპისკოპოსმა ანტონიმ და ეპისკოპოსთა გერმანემ, ანტონიმ რიჟსკისამ, ლადოჟსკის სერგიმ და ვიბორგის ანტონიმ და აგრეთვე ქალაქ. პეტერბურგის მრავალ სამღვდელო პირთა. კურთხევა დიდის ამბით შესრულდა. წირვაზე ხალხი აუარებელი დაესწრო. უზარ-მაზარი ეკკლესია, რომელშიაც თავისუფლად მოთავსდება რამდენიმე ათასი კაცი, მდიდრული მორთულობა ტაძრისა, მშვენიერი გალობა, ძვირფასი და ბრწყინვალე შესამოსელნი მღვდელ-მთავართა და სამღვდელო პირთა და ხალხის კრძალულება ტაძარში გაიტაცებენ კაცის გონებას და დროებითად სრულებით დაავიწყებინებენ ამ წუთის სოფელს...

გასაოცარია სიმხნე პეტერბურგის მიტროპოლიტის ისიდორესი, რომელსაც მომავალ წელიწადში შეუსრულდება ოთხმოც-და-ათი წელიწადი. მთელი სამი საათი და ნახევარი მოქმედებდა წირვაში, მაგრამ დაღალულობა არ ემჩნეოდა. მისი ლოცვის სიტყვები რაღაცა გამოუთქმელ შთაბეჭდილებას ჰბადავს კაცის გულში. მისი ნელი, ტკბილი და გრძნობით სავსე ლოცვა მლოცველის გულშიაც ჰბადავს ამავე გრძნობასა. როდესაც ხელი დაასხა თავზედ ეპისკოპოსად საკურთხს და შემდეგ საიდუმლო ლოცვისა გრძნობით წარმოსთქვა: „ვილოცოთ ამისთვის, რათა სულმან წმიდამან დაიმკვიდროს ამაზედ,“ ისეთი გრძნობით სთქვა ეს სიტყვები, რომ ტაძარში არ დაშთენილა არც ერთი მღვდელი, რომ პირზე ჯვარი არ გამოესახოს და არ შევედრებოდეს ღმერთსა, რათა სული წმიდის მადლი გარდმოსულიყო ახლად ნაკურთხზედ...

ამისთანა შესანიშნავ მონასტერზე, როგორიც არის ალექსანდრე-ნეველის მონასტერი, ცოტა რამ ისტორიული ცნობების მოთხრობა, ვგონებთ, ნამეტანი არ იქნეს და ამისთვის ცოტა მოთმინებას, ვითხოვთ მკითხველთაგან.

ეხლანდელი პეტერბურგის გუბერნია და მისი მიდამოები დიდის ხნიდგან რუსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ბოლოს შვედებმა წაართვეს რუსებს ეს ადგი-

---

*) იხ. «მწყემსი».ს № 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, მაგრამ კეთილ-მსახურმა დიდმა-მთავარმა ალექსანდრე ნეველმა, იეროსლავის ძემ არ მისცა ნება, რომ შვედნი დაფუძნებულიყვნენ ამ ადგილებში. ალექსანდრე ნეველმა გაილაშქრა შვედების წინაალმდეგ 1240 წელში და 15 ივლისს დაამარცხა შვედების წინამძღვარი გენერალი ბიურგერი ნევის მდინარის პირზე, სწორეთ იმ ადგილას, სადაც დღეს აგებულია ალექსანდრე-ნეველის ლავრა.

აქ 1710 წლამდე არც ერთი შენობა არ ყოფილა, მაგრამ ამ წელში, 22 თებერვალს პეტრე დიდმა გამოსცა ბრძანება, რომ ამ ადგილას აეგოთ მონასტერი ალექსანდრე-ნეველის სახელზედ. მისი ბრძანება სისრულეში მოვიდა. ეკკლესია აკურთხეს და 1724 წელში ამ მონასტერში გადმოასვენეს წმიდა გვამი ალექსანდრე ნეველისა ვლადიმერის შობის მონასტრიდგან და დაასვენეს ამ ლავრაში.

პეტრე დიდის შემდეგ მეფეების და იმპერატორების შემწეობით ამ ალაგს აგებულ იქმნენ ეკკლესიები და სხვა მრავალი შენობები. მართლადაც, როდესაც შეხვალთ ამ ლავრის ეზოში, თქვენ იგი გეჩვენებათ ქალაქად. მრავალნი შენობანი ერთი-ერთმანეთს არიან მიმბულნი და ცარიელი ადგილნი მშვენივრად არიან შემკობილნი მცენარეებით. მონასტრის ალმოსავლეთის მხრით არის სასულიერო აკადემია თავის შენობებით, რომელნიც გარშემო შემოზღუდულნი არიან. ეზოში ამ მონასტერს მშვენიერი სასეირნო ბაღი აქვს.

როდესაც აკვირდები ალექსანდრე-ნეველის მონასტრის მდიდრულად მორთულ უმთავრეს ტაძარს და მის უზარ-მაზარ კედლებს და კანკელს, გაოცებაში მოდიხარ და ცხადად გრძნობ ჩვენი მონასტრების და ეკკლესიების სისაწყლეს და გამოუთქმელ სილარიბეს, რომელი სილარიბეც გულს გიწყლავს და უიმედობას ჰბადავს შენში...

(შემდეგი იქნება).

## შორაპნის მაზრიდამ.

ჩვენ საქართველოს ყოველ კუთხეში ყოველთვის ბლომად ყოფილან და დღესაც არიან მკითხავები და მატყუარა ექიმები, რომლებიც წურბელასავით სწუწნიან ჩვენს მდაბიო და უმეცარ ხალხს. მაგრამ წელს ამისთანა პირები მეტად გამრავლდენ სოფლებში და ამ მატყუარა პირთა მტარვალობას ყურადღებას არავინ აქცევს. ამ პირთა წინაალმდეგ მოქმედება და მდაბიო ხალხის დარიგება, რომ ეს უკანასკნელი აერიდოს მკითხავებს და მატყუარა ექიმებს, რასაკვირველია პირ-და-პირი მოვალეობა არის სასულიერო წოდებისა, მაგრამ მარტო სასულიერო წოდებასაც არ შეუძლია ამ საქმის შველა, თუ მას სამოქალაქო მთავრობაც არ დაეხმარა ამ საქმეში. თვითეულ სოფლის საზოგადოებაში არის დღეს სოფლის სასამართლო. ამ სასამართლოში მოსამსახურე პირთა მოვალეობაა დაიფარონ ხალხი მატყუარა და მაწანწალა პირებისაგან. მათი მოვალეობა არის უბილეთოდ მოსიარულე პირთ ყურადღება მიაქციონ. თუ ეს მოხელენი თავიანთ მოვალეობას მტკიცედ შეასრულებენ, მაშინ მაწანწალა და ხალხის მცარცველ პირთა რიცხვი შესამჩნევად იკლებს. დღეს სოფლებში ხშირად შეხვდებით სხვა-და-სხვა თემის და სარწმუნოების ალმსარებელთ, რომელნიც, ვინ იცის, საიდგან არიან მოსულნი და რა მიზნით. ეს პირნი თავიანთ თავს ექიმებს უწოდებენ, თავისუფლად დაიარებიან სოფლებში და ჰყვლეფენ უსწავლელ ხალხს, რომელიც ყოველ შემთხვევაში ასეთ პირებს უფრო ეტანება, ვინემ ნასწავლ ექიმებს. თუ როგორ თავისუფლად დადიან ასეთი მატყუარა პირები სოფლებში და რა ეშმაკობით ატყუებენ ისინი უმეცარ ხალხს, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ ფაქტებს:

ჩემს სამრევლოში ერთს აზნაურს მორჩენოდა მეუღლე მშობიარობისაგან. მე, როგორც მრევლის მღვდელს, მიმიწოდეს სახლის მოსაკურთხებლად. როცა ამ აზნაურის ოჯახში მივედი, იქ დამხვდა ერთი ვილაცა თათარი, რომელიც ძალიან დალონებული და დაფიქრებული იჯდა. მე გამოვიკითხე ამ თათრის ვინაობა და შევიტყე, რომ ეს თათარი თურმე საგანგებო მკითხავს და ექიმს უწოდებს თავის თავს. ამ აზნაურს ეს თათარი ამ ორი კვირის წინ მოეყვანა თავის ოჯახში სამკითხაოდ და საექიმოდ. თათარსაც უთხრობია აზნაურისათვის, რომ შენს ეზოში, ერთ ნიგვზის ძირში ჯადო არის დამარხულიო და სანამ იმას არ ამოვილებ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს წამალს არ დაგალევინებთ, მანამდე არც შვილი შეგრჩება და არც ხეირი მოგეცემაო. ჯადოს ამოსაღებად და დასალევ წამალში თათარს უთხოვნია აზნაურისათვის სამი თუმანი. აზნაურს წინ-და-წინ ხუთი მანეთი მიუცია თათრისათვის და შემდეგისათვის აღუთქვამს 25 მანათის მიცემა. თათარს უთქვამს აზნაურისათვის, რომ ცოლი ორი თვის შემდეგ მოგირჩება და შეძენილი შვილიც კარგად გაიზდებაო, მაგრამ ქალი კი იმავე კვირაში მორჩენილა და მკვდარი ყმაწვილი შეძენია. ამ დროს ეს თათარი სხვა სოფელში ყოფილა წასული. აზნაურს დაუბარებია თათარი, ისიც მოსულა და, როცა უნახავს თათარს, რომ მისი ნაწინასწარმეტყველები არ გამართლებულა, ჯავრში ჩავარდნილა. იჯდა საწყალი მოწყენილი. ბოლოს თათარმა დააპირა წასვლა, აზნაურმა ხუთი მანეთი მოსთხოვა უკანვე. რადგან თათარს ეს ფულები აღარ მოეძებნებოდა, გაიძრო თავის ძველი პალტო და დაუტოვა აზნაურს, სანამ ხუთს მანათს მოუტანდა უკან. როგორც შევიტყე ამ თათარს ამისთანა საქმეები სხვაგანაც ბევრი ჩაუდენია და კაცი არ გამოჩენილა, რომ ამ თათრისათვის ბილეთი მოეთხოვა და შეეტყო, თუ საიდგან და ვინ იყო იგი.

გარდა ამ მატყუარა მკითხავებისა სოფლებში ძალიან გამრავლდენ წელს ცრუ-მქადაგებელნიც. ამას წინეთ ჩემს სამრევლოში მოვასწარი ერთ მოხუცებულს კაცს, რომელიც თავისუფლად დაიარება სოფლად. როცა ეს კაცი შედის რომელიმე ოჯახში, იწყებს შემდეგ ქადაგებას: „მე შვიდი საათი მკვდარი ვიყავი; საიქიოს ხმაურობა არის და ცნობა არა. ვინც აქ ენის მიმტან-მომტანი ყოფილა, იქ ყველანი კუპრში არიან ყელამდის ჩაფლულნი, ცეცხლით იწვიან და მაშველი კაცი არა ჰყავთო. აქ რომ მიცვალებულს საკურთხს გაუკეთებთ, იქ ეს საკურთხი კალათით უდგიათ მიცვალებულებს წინ, საჭმელებს ადის ცხელი ორშივალი, რომლითაც მაძღარნი არიან მიცვალებულნი. როცა ამას ვათვალიერებდი, მოვიდა ჩემთან ღვთის ბრძანებით მთავარ-ანგელოზი და მითხრა: „შენ ისევ იმ ქვეყანაში წადი, ცამეტი ეკკლესიის მრევლი დალოცე და მერე აღსრულდება შენზე ღვთის ნებაო.“ როცა ამ სიტყვებს ამბობს მოხუცებული, საცოდავად სტირის. ამ ქადაგების შემდეგ ეს მოხუცებული მიდის თაროსთან და იწყებს შემდეგ ლოცვას: „ღვთაება უცვალებელო, მიქელ გაბრიელ მთავარ ანგელოზო, შენ დაიფარე ეს ოჯახი ყოველივე ცუდი საქმისაგან და სხვა...“ როცა ლოცვას ათავებს, ბრუნდება წალმა და მიდის თავისთვის. როცა საჩუქარს შეაძლევენ ამ მოხუცებულ კაცს, ის უარს ამბობს საჩუქრის მიღებაზე და თანაც აცხადებს: „მე საჩუქრის მიღება არ შემიძლია ჩემის ხელით და თუ თქვენ ჩუმათ ჩააპარებთ ჩემს ჯიბეში, ნეტავი თქვენს საიქიოს ცხოვრებას, პირველი ადგილი სამოთხეში თქვენი იქნებაო». ამ სიტყვებსაც მოხუცებული ტირილით ამბობს. ოჯახის პატრონიც ეპარება ჩუმათ ამ მოხუცებულს და მორიდებით უდებს საჩუქარს ჯიბეში. ამ ხერხით ეს მოხუცებული კაი ძალ ფულებსა ჰკრებს. ამას წინეთ დაიარებოდა კიდევ სოფლად ერთი ყმაწვილი კაცი და ჰქადაგებდა; მაგრამ ის ქადაგების გარდა თავის თავს უწოდებდა ექიმს და მკითხავს და ამ საშუალებით დიდ ძალ ფულებს აგროვებდა მდაბიო და უმეცარ ხალხში, რომელიც ამისთანა მატყუარა პირებს დიდის სიხარულით უსმენს და თავის სულიერი მამის სწავლა-დარიგებას კი ყურადღებას არ აქცევს.

დრო არის, რომ სამოქალაქო მთავრობამაც შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოს სასულიერო წოდებას მკითხავების და სხვა მატყუარა ექიმების წინააღმდეგ მოქმედებაში. საჭიროა აგრეთვე, რომ მაზრის უმფროსებმა უბრძანონ სოფლის მოხელეთ, რათა მათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ მათ სოფლებში მოსიარულე პირთ, რომელნიც ექიმობის და მკითხაობის სახელით ატყუებენ და ჰყვლეფენ უმეცარს ხალხს.

მღვ. რ. გორგაძე.

## ა ფ ხ ა ზ ე თ ი დ ა მ.

თითქმის სამი წელიწადი შესრულდა, რაც აფხაზეთის ეპარქიის ეკკლესიებისათვის რევიზია არ უყვია ადგილობით სასულიერო მთავრობას. ივნისის თვეში აფხაზეთის ახალმა ეპისკოპოზმა გენნადიმ განიზრახა თავის ეპარქიის ეკკლესიების დახედვა. ადგილობითი სამღვდელოება და საზოგადოებაც დიდის სიხარულით მოელოდენ ახალ ეპისკოპოსის ხილვას. ხუთ ივნისს მათი მეუფება მობრძანდა სამურძაყანოში. ყოვლად სამღვდელო გენნადის თან ახლდენ ბლაღოჩინი დეკანოზი მ. დავით მაჭავარიანი, მღვდელ-მონაზონი ხარლამპი, ეპარქიის კანცელარიის მდივანი. სამურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაყანოს სამზღვარზე მათ მეუფებას შეეგებენ ადგილობითი ბლაღოჩინი იოანნე ჩხენკელი და მაზრის უფროსი. ყველა ეკკლესიაზე, სადაც კი მიბრძანდებოდა ხოლმე ყოვლად სამღვდელო, დიდ ძალი ხალხი იკრიბებოდა მათი მეუფების სანახავად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ყოვლად სამღვდელო ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ უქადაგებდა შეკრებილ ხალხს სარწმუნოებაზე; ურჩევდა ხალხს სკოლების გახსნას. ბევრ სამრევლოებში ხალხმა აღუთქვა მათ მეუფებას სკოლისათვის სახლის აღშენება და თავის ხარჯით მასწავლებლის დაქირავება. ყოვლად სამღვდელომ უბრძანა ადგილობით ბლაღოჩინს, რომ ახლად გამართული სკოლების მასწავლებლებად ჯერ-ჯერობით ოთხ-კლასიან სასწავლებლებში კურს შესრულებულნიც გამოდგებიან, რომელთაც მედავითნეებადაც დაენიშნავ ადგილობით ეკკლესიებზე და შემდეგ, თუ ისინი რიგიანად წაიყვანენ საქმეს, მღვდლობის ადგილსაც მივსცემო. მაგრამ ამისთანა პირები ძალიან ცოტანი მოიძებნებიან დღეს აფხაზეთში. თორმეტ ივნისს მათი მეუფება მობრძანდა დაბა ოქუმში, სადაც ადგილობით ეკკლესიაში მოისმინა წირვა. წირვის გათავების შემდეგ ხალხმა მიართვა ყოვლად სამღვდელოს პურ-მარილი. შეკრებილს საზოგადოებას ყოვლად სამღვდელომ ურჩია შვილების სასწავლებელში შეყვანა და მასთან განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას სწავლის სარგებლობა. თუმცა დაბა ოქუმში არის დაარსებული სკოლა კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწ. აღმადგენელი საზოგადოების ხარჯით, მაგრამ ყოვლად სამღვდელომ საზოგადოებას ურჩია კიდევ საეკკლესიო სამრევლო სკოლის გახსნაც ორივე სქესის ყმაწვილთათვის. მასთან ყოვლად სამღვდელომ აღუთქვა საზოგადოებას სკოლის საქმეში შემწეობის აღმოჩენა. შემდეგ მათი მეუფება შებრძანდა ადგილობით სკოლაში, რომელშიაც მოსწავლეთა რიცხვი იქმნება ასამდე. გამოცადა მოწაფეები და ძალიან კმაყოფილი დარჩა მათი მეუფება. ყოვლად სამღვდელომ ერთი თუმანი უბოძა მასწავლებლებს, რომ ამ ფულით მოწაფეებისათვის კონფექტები ეყიდნათ. აქ რამდენიმე პირმა სთხოვა ყოვლად სამღვდელოს ახლად აღშენებული ქვიტკირის ეკკლესიის დახედვა. ნაშუადღევის მეოთხე საათზე მათი მეუფება მობრძანდა ახალი ეკკლესიის დასახედავად. დაათვალიერა ეკკლესია და ბრძანა, რომ ტრაპეზს და სამკვეთლოს სტოლებს სიფართე მოუმატონ; ხალხს აღუთქვა ეკკლესიისათვის ხატების და სხვა საჭირო ნივთების უფასოდ გამოგზავნა.

ყოვლად სამღვდელო შეკრებილ საზოგადოებას ყველგან ურჩევდა მიცვალებულების შესახებ უბრალო ხარჯების მოსპობას. უკეთესი იქნებაო, ბრძანებდა ხოლმე ყოვლად სამღვდელო, რომ ამ უბრალო ხარჯების საფასს თქვენს ეკკლესიებს და თქვენი შვილების სწავლა-განათლებას მოახმარდეთო. ბევრმა პირმა აწირვინა ყოვლად სამღვდელოს მიცვალებულებისათვის, მაგრამ მათმა მეუფებამ მღვდელ-მოქმედებისათვის ფულები არავისგან არ მიიღო თავის სასარგებლოდ. ყველა ნაჩუქარი ფულები ადგილობით ეკკლესიებს შესწირა. რევიზიის დროს ყოვლად სამღვდელო ათვალიერებდა ეკკლესიის კრებულის სადგომებს და, სადაც ასეთი შენობები სიძველისა გამო არ ვარგოდენ, კრებულთ აღუთქვა ახალი ბინების აღშენება. ერთ ადგილს ყოვლად სამღვდელოს წარმოუდგინეს რამდენიმე თათარი, რომელნიც ჩვენი სარწმუნოების შესახებ უკანონოდ იქცეოდნენ. ყოვლად სამღვდელომ უბრძანა პოლიციას ამ თათრების დაუყონებლივ სათათრეთში გაგზავნა. ზოგიერთ სოფლებში წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოს სოფლის მკითხავები, რომელთაც ყველგან პირობა დაადებია, რომ მათ ამის შემდეგ აღარ გაებედნათ მკითხაობა. 11 ივნისს ყოვლად სამღვდელო გამოეთხოვა ოქუმის საზოგადოებას და გაემგზავრა ჩხოროთოლის სამრევლოში.

მღვდ. სპირ. ჯანჯახაძე.

## ს. კოთელიიდამ.

ს. ძოთელიაში (ახალ-ქალაქის მაზრაშია) სცხოვრობენ სამოც-და-ათამდე კომლი ქართველები. ამ სოფელში არის ერთი პატარა ეკკლესია, რომელშიაც სრულდება ყოველთვის წირვა-ლოცვა. ამ ეკკლესიას სიგრძე აქვს 14 არშინი, სიგანე 8 არშინი და სიმაღლე 10-11 არშინზე უფრო მეტი ექნება. თვით ეკკლესია არის ნაშენი მოწითლო და მოთეთრო რბილი ქვისაგან და თალიც ამავე ქვით აქვს შეკრული. ამ ეკკლესიის შენობა თავისი გარეგანი და შინაგანი მოწყობილობით უნდა ეკუთვნოდეს უწინდელს დროს. ამ ეკკლესიაზედ, ვგონებ, დღემდის არასფერი მოთხრობა არ არის. არ ვიცით, თუ როდის და ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღაშენა ეს ეკკლესია. დღეს მე დავრწმუნდი, რომ ეს ეკკლესია აღშენებულია თამარ-დედოფლის დროს. რომ ეს ასეა, ამაში გვარწმუნებს შემდეგი: ამ ეკკლესიის სამხრეთის კედელში (გარედგან) დატანებულია ერთი მოზდილი, მოლურჯო და სუფთად გათლილი ქვა, რომელზედაც მხედრული ასოებით შემდეგი წარწერა არის, რომელსაც შეუცვლელად მოვიყვან აქ. აი ეს წარწერა:

„ამა წმიდისა კვირიკესა საყდრისა:· აღშენებულსა ყოველს:· და თანა მემცხედრესა მეფისა ასულსა თამარას შეუნდოს ღმერთმან: . . . . . . . . . . . . .“ ამ წერტილების ადგილას კიდევ არის წარწერა, მაგრამ შეუძლებელია მისი წაკითხვა, რადგანაც ასოები ერთმანერთში მეტად არეულია და ქვაც ამოტეხილია ზოგან. როგორც ზემოთაცა ვსთქვი, ეს ეკკლესია მეტად პატარაა და ამ სოფლის ხალხი ძლივს თავსდება მასში წირვა-ლოცვის დროს. ამ ეკკლესიის გადიდებაზედ და გადაკეთებაზედ არა ერთხელ ჰქონია საუბარი ადგილობითი მღვდელს მ. ზ. ზირახოვს თავის მრევლთან, ძოთელიელებთან, მაგრამ ეს უკანასკნელნი დიდ ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს. სოფელში, მართალია, ბევრი წინაალმდეგია ეკკლესიის შესაკეთებლად ფული შემოიტანოს, მაგრამ, მადლობა ღმერთს, არიან ისეთი პირნიც, რომელთაც სურთ ეკკლესიის გამშვენება და მზად არიან შეიტანონ თავის მხრით ხვედრი ფული. წინაალმდეგნიც შეიძლება კაცმა დაიყოლიოს, მაგრამ საქმის მოთავე არავინ არის. მხოლოდ ერთი მღვდელი მეცადინობს ამ საქმეს და მრევლი მღვდელს არ უსმენს. კარგი იქნება, რომ ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებდეს ადგილობითი ბლაღოჩინი. ამასთან ურჩევ ძოთელიელებს, რომ ამ ეკკლესიის შენობას მთლად ნუ დაარღვევენ, რადგან იგი ეკუთვნის უწინდელი დროის შენობათ. შეიძლება ამ ეკკლესიის კედლებზე კიდევ მოიპოვებდეს სხვა წარწერებიც, რომელნიც შუქს მოჰფენენ ჩვენს ისტორიას.

ვ. გოპტონაშვილი.

---

## ადრიანოპოლიდამ.

ბოლგარიის ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებ მდაბიო ხალხში მეტად გავრცელებულია სხვა-და-სხვა ამაოდ-მორწმუნეობანი და კერპთ-თაყვანის ცემლობა, რომელთაც, როგორც საზოგადოდ ყველგან, ისე ამ მხარეშიც ძალიან ცუდი ზედ მოქმედება აქვს მდაბიო ხალხის სარწმუნოებაზე და ზნეობაზე. ამ ამაოდ-მორწმუნეობათა და კერპთ-თაყვანის მცემლობას ძალიან ღრმად აქვს ხალხში ფესვი გადგმული, რადგან აქაური სამღვდელოება მეტად გაუნათლებელია და ამიტომ თავის მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებს. თვით სამღვდელოება მდაბიო ხალხთან ერთად ხელს უწყობს ამაოდ-მორწმუნეობათა გავრცელებას და მონაწილეობასაც იღებს ზოგიერთ არა ქრისტიანულ ჩვეულებათა შესრულებაში.

დასავლეთ ბოლგარიაში მცხოვრებნი ყოველ კვირაში კვირა და დღესასწაულ დღეების გარდა უქმობენ სამშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს. ამ დღეებს უქმობენ აღდგომიდგან დაწყებული პეტრე-პავლეს მარხვის დამდეგამდე. ამ დღეებში სამშაბათს უქმობენ მგლის სახელზე, რომ იმ წელს მგელმა მათ პირუტყვს არა ავნოს რა; ხუთშაბათს უქმობენ სეტყვის სახელობაზე, რომ იმ წელს სეტყვამ არ გაუფუჭოს მათ ნამუშევარი. პარასკევს უქმობენ, რომ იმ წელს რამე ავად-მყოფობამ არ ავნოს მათ საქონელს. ამ დღეებში მუშაობა არავის შეუძლია და თუ ვინმემ გაბედა, ამას ჯერ კარგად სცემენ და მერე შტრაფს გადაახდევინებენ. შტრაფის გარდახდევინება მდგომარეობს შემდეგში: დამნაშავეს ან სამიკიტნოში შეიყვანენ და ჩამოასხმევინებენ და ან ერთ კაი ცხვარს დააკვლევინებენ. ამ დღეების უქმობაში მონაწილეობას იღებენ აქაური მღვდლები და მედავითნენი, რომელნიც ამ დღეებში სწირავენ და სამადლობელ პარაკლისსაც იხდიან. პარაკლისის ხდის დროს ახსენებენ მგელს, სეტყვას და ჭირსა. საკვირველი ის არის, რომ აქაური მდაბიო ხალხი, რომელიც ეკკლესიებში ძვირად დაიარება და სარწმუნოების შესახებ დიდ გულ-გრილობას იჩენს, ამ ზემოდ მოხსენებულ დღეებს დიდის ამბით დღესასწაულობს. გარდა ამ დღეებისა აქაურები ბევრს სხვა დღეობებსაკ იხდიან წლის განმავლობაში. დღეობებისათვის აქვსთ დანიშნული დღეები და ადგილები, სადაც იკრიბებიან სადღესასწაულოდ. ეკკლესიებში აქვსთ შენახული დიდი ქვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბები, რომლებსაც სალმრთო ქვაბებს ეძახიან და რომლებშიაც მხოლოდ მსხვერპლად შეწირული ცხოველების ხორცსა ხარშვენ. ქვაბებთან ერთად აქვსთ შენახული საკლავი დანა და ციცხვა.

ბოლგარებს მთელი წელიწადი ოთხ სეზონად აქვსთ გაყოფილი. თვითეულ სეზონს და წლის თვითეულ თთვეს რომელიმე დიდი წმიდანის სახელი ჰქვია. მაგალითი. ზაფხულს ეძახიან წმ. პეტრე და პავლეს სახელს. პეტრე და პავლეს მარხვაში უფრო თევზეულობას ეტანებიან, რადგან მათის აზრით, წმ. პეტრე მეთევზე იყო. როცა თევზს აიღებენ ხელში, იტყვიან: „წმ. პეტრე იყოს შემწე“ და მერე დაუწყებენ ჭამას. შემოდგომას ეძახიან წმ. დიმიტრის სახელს. 26 ოკტომბერს დღესასწაულობენ ამ წმიდანის დღეობას დიდის ამბით და დიდ-ძალი შესაწირავიც მიაქვს ხალხს დანიშნულ ადგილას. ამ დღეს გადაწყდება ხოლმე მოსამსახურეთადმი მისაცემი სასყიდლის რაოდენობა, რადგან ამ დროს მთელი წლის სეზონის ნახევარი თავდება. ზამთარს ეძახიან წმ. ათანასეს სახელს და 18 იანვარს დიდის ამბით დღესასწაულობენ ამ წმიდანის დღეობას. მდაბიო ხალხს სწამს, რომ 18 იანვარს, ღამით უსათუოდ გამოჩნდება წმ. ათანასე თეთრი სამოსით სოფლის სიახლოვეს მაღალ ხეზედ მჯდომარე. ამიტომ ბევრი ამ დღეს ღამეს ატარებს მინდორში, მაღალ ხეების ქვეშ, რომ წმ. ათანასე იხილოს. მეორე დღეს ვინმე მოიგონებს, რომ მან ვითომ წმ. ათანასე ნამდვილად იხილა. ხალხი, როცა შეიტყობს, რომ წმ. ათანასე იხილა ვინმემ, დიდს სიხარულს ეძლევა, რადგან ფიქრობს, რომ ამ დღიდგან ზამთარი აღარ იქნება ძლიერი. შემდეგ იმ ხის ქვეშ, რომელზედაც, ვითომ, წმ. ათანასე იხილეს, მოამზადებენ სალმრთოს და კარგად იქეიფებენ. თუ იმ ღამეს წმ. ათანასე ვერავინ იხილა, მაშინ ხალხი დიდ მწუხარებაში ვარდება და ფიქრობს, რომ ზამთარი კიდევ დიდხანს გაგრძელდება და თანაც სასტიკი იქნებაო. გაზაფხულს ეძახიან წმ. გიორგის სახელს. 23 აპრილს დიდის ამბით დღესასწაულობენ არა მარტო ქრისტიანები, არამედ აქაური თათრებიც კი ძალიან უქმობენ ამ დღეს და სამღრთოსაც იხდიან.

თთვების სახელს აქაურები მიხვდებიან მხოლოდ წმიდანების სახელებით, მაგალითებრ: იანვარს ეძახიან ათანასეს თთვეს, თებერვალს—პატარა თთვეს ანუ უფლის მირქმას, მარტს ორმოც წამებულთა სახელს, რომელნიც ეწამნენ ტბასა შინა. ამ დღეს დიდის ამბით დღესასწაულობენ. მაისს — ელენეს თვეს. ამ დღეს გაუთხოვარი ქალები იკრიბებიან ერთად და დღესასწაულობენ. გაუთხოვარ ქალებს გარდა ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღება არავის შეუძლია. მხოლოდ მღვდელი უკურთხევს ამ ქალებს წყალსა და დაკლულ ცხოველებს. ივნისს ეძახიან პეტრეს თთვეს; ივლისს — ილიას თვეს. ოც ამ თთვეს იხდიან სამღთოს ილია წინასწარმეტყველის სახელობაზე. მონახვენ მაღალ გორას და იქ დაკლავენ მსხვერპლად შეწირულ ცხოველებს. მაღალ გორებზე დღესასწაულობენ ამ დღეს იმიტომ, რომ ვითომ ილია ამ დღეს ჩამოდის მაღალ გორებზე და ხალხს უახლოვდება მსხვერპლის შეწირვის დროს. ამ დღეს ხალხი ევედრება წმ. ილიას, რომ მან არ მოაკლოს მას წვიმა და მასთან აცილოს სეტყვა და მეხი. ხალხსა სწამს, რომ ვითომ წმ. ილია დაუძლევება წინ ღრუბელს და ვინც კაი მსხვერპლს შესწირავს ამ წმიდანს, იმის სიახლოვეს გაჩერებს ღრუბელს და მოიყვანს წვიმას. აგვისტოს ეძახიან ღვთის მშობლის თთვეს. ამ თთვეში რაც ყმაწვილი დაიბადება და მოინათლება, ყველას რჯინას ანუ ჩალიკს დაარქმევენ სახელად იმ განზრახვით, რომ ღვთის-მშობელმა სიმაგრე მისცეს მათ. სეკტემბერს ეძახიან ჯვარის თთვეს, რადგან 14 ამ თთვეს არის ჯვარით ამაღლება. ოკტომბერს—დიმიტრის თთვეს. ნოემბერს მთავარ-ანგელოზის თთვეს. დეკემბერს ეძახიან კოლედას, რადგან ამ თთვეში კლავენ საკლავებს. შობის წინა დღეს მოსახლე არ იქნება, რომ ღორი არ დაჰკლას. იანვარს ეძახიან კოდიცას ანუ წყალ-კურთხევას. წყალ-კურთხევა დღეს გაუთხოვარ ქალებს უჭერიათ ხელში ნაკურთხი წყალი ჰურჭლებით, დაიარებიან ქუჩებში და სახლებში და ვინც შეხვდებათ წინ, ყველას ასხურებენ. მამა-კაცებს აქვსთ შემდეგი ჩვეულება: ამ დღეს თუ ვინმე უცხო კაცმა გაიარა მათ სოფელში, მოჰკიდებენ მას ხელს და ტანისამოსით ჩააგდებენ ცივ წყალში და შემდეგ დასველებისა საჩუქრებს აძლევენ მას. ამით ფიქრობენ, რომ ვითომ უცხო პირი მონათლეს და თვითონ ნათლიებად იყვნენ. ამ უაზრო ჩვეულების მსხვერპლი შეიქმნა ერთ დროს ერთი საწყალი თათარი, რომელიც მდინარე თუნჯაში ჩააგდეს. საწყალი წყალმა ყინულ ქვეშ შეიტანა და დაახრჩო. ამ გვარი მოქმედებისათვის სოფლელებს დიდი ჯარიმა გადახდა. ამ დღეს თუ სადმე მოუნათლავი ყმაწვილებია, რომელთაც რვა დღე შესრულებიათ დაბადებიდგან, აიაზმის კურთხევის შემდეგ მღვდელს მოანათვლინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილს ცივს წყალში. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ყმაწვილი ცივ წყალში იყინება და ჰკვდება და ან სამუდამოდ სნეულდება. ძალი არ არის, რომ ეს ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს ხალხს.

აქაური მდაბიო ხალხი დარწმუნებულია, რომ ყოველივე სნეულება კაცს შეხვდება ეშმაკისაგან. ვსთქვათ, კაცი გახდა ავად მინდორში, ტყეში ან სხვაგან სადმე. მაშინვე ამ ადგილს მიიყვანენ მღვდელს და იქ ილოცვენ იმ ფიქრით, რომ ეშმაკი გამოეცალოს ავად-მყოფს და თავის ადგილზე დაბრუნდეს.

ქართველი.



ძვირფასი და შესანიშნავი ძველი ნივთები გელათის მონასტრისა.

## გელათის მონასტერი.

(გაგრძელება *).

1089 წელში, როგორც მოგვითხრობს მატიანე, იმერეთის და ქართლის მეფე გიორგი II-მ დაუთმო სამეფო ტახტი თავის შვილს დავითს. ძალიან მძიმე დროს შეხვდა დავითის გამეფება. ალპ არსლანის და მალექ-შახის ჯარების მრავალ გზის თავ-დასხმამ ორმოცი წლის განმავლობაში, წინა მოადგილის უზრუნველობამ და უგუნურმა მართველობამ უკიდურესად დააუძლურეს და გააოხრეს სამეფო, შეარყიეს ჯვარი მეფისა და ქვეშევრდომთა შორის, დაბადეს განხეთქილება სამღვდელოებისა და სამწყსოთა შორის, თავადთა და აზნაურთა როგორც ერთმანერთში, ისე ხალხთანაც. გარყვნილება, თავ-გასულობა, თავის პირ და პირ მოვალეობათა შესახებ დაუდევნელობა, სხვისი ქონების დასაკუთრება და ბევრი სხვა უკანონო მოქმედებანი, როგორც მოგვითხრობს მემატიანე—აი ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენანი იმ დროინდელ ქართველთა ცხოვრებაში. აი ამ გაჭირების დროს თექვსმეტი წლის მეფის წული დავითი, სავსე ძალით და სიცოცხლით მამის სიცოცხლეშივე ვეზირების და ხალხის სურვილისა თანახმად იღებს ხელში სამეფო კვერთხს ამ უბედურებათა მოსასპობლად. ჭაბუკმა მეფემ მართლაც გაამართლა ყველას მოლოდინი და

*) იხ. „მწყემსი" № 15, 1887 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკიდა საქმეს ხელი სრული ენერგიით და საქმის ცოდნით, როგორც შეეფერება მხოლოდ დიდ ბუნებიან, გენიოსობით და ღვთის კურთხევით დაჯილდოებულ კაცთა. აღადგინა რა სამეფოში მშვიდობიანობა და წესი, დავითმა აოხრებული სამეფო კვალად აღაყვავა კიდით-კიდემდე; განაახლა დამწვარნი სოფელნი და ქალაქნი და სამშობლო ქვეყანას მოსწმინდა შეურაცხობის ლაქა.

მეოცე წელს თავის ორმოცი წლის მეფობისა (რომელიც წარმოგვიდგენს განუწყვეტელ გამარჯვებათა და წარმატებათა) კახეთის შემოერთების და სელდ-ჯუკებზე ალგეთის და ხრამის მინდვრებში ძლევა მოსილობის სახსოვრად დავით აღმაშენებელმა, როგორც გვეუწყებს მას ისტორია, აღაშენა გაენათის მონასტერი. თუმცა დავითი იძულებულ შეიქმნა ამ მონასტრის დამთავრება უანდერძნა თავის მემკვიდრისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მან დაუტოვა თავის შვილს დიმიტრის სამკვიდროდ იმდენად გაძლიერებული და მოწყობილი სამეფო, რომ მან, სამეფომ, მთელი საუკუნე, მონგოლების მიერ დარბევამდის, შესძლო სახელოვანად ბრძოლა წინა აზიის ძლიერ მუსულმანებთან.

გაენათის მონასტერზე, დღიდგან მისი დაარსებისა, უმთავრესი და განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა ჰქონდათ მიქცეული პირველად ივერიელ მეფეთა და ბოლოს, როცა სამეფო დანაწილდა, იმერეთის მეფეთაც. გაენათის მონასტერი, როგორც ზემოთაც მოვიხსენეთ, გაამდიდრეს საქართველოს მეფეებმა და მმართველებმა თავიანთი შეწირულებაებით; ასეთ შეწირულებით ეკუთვნოდნენ დასახლებული სოფლები, ოქროს და ვერცხლის ნივთები, სხვა-და-სხვა ძვირფასეულება, ხელნაწერები და სხვა. მონასტრის პირველმა დამაარსებელმა, დავით აღმაშენებელმა შესწირა მონასტერს ძვირფასი გვირგვინები და გულზედ დასაკიდებელი მარგალიტის მივები, რომელნიც მან წაართვა მუსულმანთა, აგრეთვე ამ მონასტერს შესწირა სახელმწიფოდ შერიცხული ორბელიანთ ერთი ოჯახის დიდი მამულები; დავითმა შეჰკრიბა გაენათში ღვთის მოსავნი კაცები, სახელ-განთქმულნი თავიანთი წმინდა ცხოვრებით და ქველ მოქმედებით, როგორც მთელი თავის სამეფოდამ, აგრეთვე შორეული ქვეყნებიდგანაც. ბოლოს მან გადმოიტანა კლარჯეთიდგან (ეხლანდელი ართვინის ოლქია) სახელ განთქმული ხახულისა ღვთის მშობლის ხატი, დახატული, როგორც ზეპირ გარდმოცემა მოგვითხრობს, მახარებლის ლუკასაგან. დიმიტრი I მა დაამთავრა მამისაგან ნაანდერძევი უდაბნო. დავითის შვილი-შვილს, დიდებულს დედოფალს თამარს მთავდაბლად მიჰქონდა ხოლმე შესაწირავად ხახულისა ღვთის-მშობლის ხატის წინაშე ყოველივე საუკეთესო ნადავლი, მის ძლევა მოსილ მხედართაგან სისხლით ნაშოვნი, შემდეგ სპარსეთის სელდ-ჯუკებზე შამხორის დროს გამარჯვებისა 1023 წელში, თამარმა შესწირა ამავე ხატს გულზე დასაკიდებელი ძვირფასი მარგალიტის მივები და ბაირაღი ხალიფისა, რომელიც ამ ხნებში წაართვეს მტერს.

ამიერ კავკასიის ზემოდ მოხსენებულ გამგეთა დროს (1109-1212 წ.) გაენათის მონასტერი მდიდრდებოდა და ჰყვაოდა; მის საერთო სუფრაზე (трапеза) იკრიბებოდა თურმე, როგორც ვიცით გარდამოცემით, რომელიც დღესაც დაცულია ამ მონასტერში, სამასამდე ბერ-მონაზონნი. მაგრამ სამეფოში მომხდარ ცვლილებათა: მონგოლთა თავ-დასხმამ სამეფოის წვრილ-წვრილ სამფლობელოებად დანაწილებამ და სხვა ხელ-შემშლელ გარემოებათა ქართლში და იმერეთში მეცამეტე საუკუნის დასაწყისიდამ, რასაკვირველია, ცუდად იმოქმედეს გაენათის მონასტრის კეთილ-დღეობაზედაც.

## საისტორიო მასალა.

### წესი და განგება დარბაზობისა, რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფეთასა.

(მცხეთის საკრებულო ტაძრის გუჯრის პირი №-286.)

#### შესავალი

შემდგომ კიდობნით გამოსვლისა, წარმოვიდა თარგამოს ძე თარბისი ძის წული იაფეთისი, ნოეს შვილისა და დაემკვიდრა ორთა მთათა შუა არარატისა და მასისისასა; ხოლო ძე მისი ქართლოს დაჯდა თავსა ქართლისასა, სადა შეერთვის არაგვი მტკვარსა, და დაიპყრა ხუნანითგან ვიდრე ზღვადმდე სპერისა. მუნ ძემან მისმან იწყო შენებად ქალაქისა და უწოდა სახელი მისი მცხეთა. ოდეს ნაბუქოდონოსორ იერუსალიმი წარმოსტყვენა მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს და დასხდეს მცხეთას. ხოლო ალექსანდრე მეფემან დაუტევა ქართლს ერისთავი სახელით ზონდა. შემდგომ მისსა მეფე იქმნა ფარნავაზ მცხეთელი და ნათესავნი მისნი და ჟამთა ადერიკ მეფისა ფარნავაზიანისათა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და შემდგომ ოცდა ათისა წლისა მოწერა ანნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელმან და წარვიდეს ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსანელი და მუნ დაუხდეს ჯვარცმასა უფლისასა და ხვდა წილთა კვართი უფლისა ჭურიათ მცხეთელთა, და ესმა ხმა სამსჭუალთა დედასა ელიოზისასა მყოფსა მცხეთას და გოდებდა ურიათა თვისად ქადაგებდა განათლებასა წარმართთასა და შეისვენა. და მიეგება ელიოზს და მისი და მოსცა კვართი უფლისა, რომელი სურვილით შეიტკბო და მანცა შეისვენა. იყო ესე ნათესავისაგან ელიოზ მღვდლისა, ხოლო ადერიკს არა რაი ხელჰყო. და დამარხა ძმამან მისმან ელიოზ და თვისი კუართითა მით ადგილსა მას, სადა იგი ენანი კაცთანი არა დადუმდენ დიდებად ღვთისა. და შემდგომ ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილთ იგდეს მოციქულთა, ყოვლად წმიდასა ღვთის მშობელსა წილ ჰხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა, და ნეტარ-კართ ესამ გზის სანატრელ, რამეთუ სიქადულ ჩვენდა არს შეწევნა წმიდისა ღვთის მშობლისა, რომლისა წილსხდომილნი ვართ. ჟამთა მირიან მეფისა ნებროთიანისათა მოვიდა ნინო მოციქული, რომელმან განანათლა ქვეყანა ქართლისა, მოვიდა ქალაქსა მცხეთას, იქმოდა სასწაულთა და კურნებათა მრავალთა, რომლითა დაარწმუნა მირიან მეფე და ნანა დედოფალი და ყოველი ქართლი, მაშინ სამოთხესა მას მეფისასა იხილეს, რომელნი ფრინველნი უშუერითა ფრთათა განიბანიან და განისპეტაკნიან და ხეთა მათ ზედა დასხდიან, უყვავილსა მოისთულერლიან, და ხმითა ტკბილითა ხმობდიან. მაშინ გულის ხმა ჰყვეს სამოთხისა მის სულიერად სამოთხედ შეცვალება და მოიღეს ძელი ქმნად კედელთა ეკკლესიისა და მოჰკვეთნეს ნაძვნი იგი და შემზადნეს შვიდნი სვეტნი და აღაშენეს კედელი ძელთა და შეუდგნეს მას ექუსნი სვეტნი; ხოლო სვეტი იგი უდიდესი საშუალ ეკკლესიისა აღმართებად ვერ შეუძლეს სიმრავლემან ერისა მან.

მრავალ-ღონეობითა მანქანათათა, და ფრიად უკვირდა მეფესა და მოწყუხარე წარვიდა. ხოლო ღამესა მას ვითარ ილოცვიდა წმიდა ნინო, მოვიდა ჭაბუკ შემოსილი ცეცხლისა ზეწარითა, აღიღო სვეტი იგი და წარიღო სიმაღლედ და რიყურაყუ იხილა ჰაერში შთამომავალი ნელიად, ნელიად ჩამოიცვალებდა ხარისხსა, ვიდრემდის დადგა ძირსა, რომლისა მიკვეთილ იყო, და ხედვიდა მეფე ყოვლისა ერისათანა და იყო სიხარული დიდი მეფისა და ყოვლისა ერისა. ხოლო სვეტისა მის მიერ ცხოველისა იქმნებოდეს სასწაულნი და კურნებანი მრავალნი. ხოლო მირიან მეფემან ხითა აღაშენა სამოთხესა მას შინა ეკკლესია და მაყუალთა მათ ზედა ნინოსათა ეკკლესია დიდი და მოიყვანა მღვდელთ მოძღვარი იოანე, მთავარ ეპისკოპოსი და დაადგინა ზემოისა ეკკლესიისა, და განამტკიცა სჯული ქრისტიანობისა დასაბამითგან წელთა. ჳ.ყ.ლ.ჟ. და ქრისტეს ამაღლებიდგან ტლჟ; ხოლო შემდგომ ჟამთა რაოდენთამე მეფე იქმნა დიდი იგი და ყოველთა მეფეთა უმეტეს სახელ განთქმული ვახტანგ-გორგასლანი, ამან აღმატებულმან ყოველთა მეფეთა ზედა აღაშენა ცათა მობაძავი დიდი ესე საყდარი კათოლიკე ეკკლესია და დაადგინა კათალიკოზი მთავრად ყოვლისა ქრისტიანობისა და მთავარ და ყოველთა ეპისკოპოსთა და ჰგიეს დასასრულადმდე ჟამთა.

## კურთხევა მირონისა.

დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქმნებოდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და ღვთით გვირგვინოსანმან მეფემან არჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად. და გვიბრძანა გაჩენად ვითა ნიშანიცა შეეტყობოდა. ხელ-ვჰყავით მე გლახაკმან მიქაი ქართლისა კათალიკოსმან და ვაკურთხეთ წმიდა მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა, ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღვდელთ-მოძღვარნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთშაბათსა, დიდსა სომხითისა მიტროპოლიტსა მართებს ნივთთა ზედა დგომად, და ქვაბნი საკურთხეველთად გამოიხუნენ და მიტროპოლიტსა და ქადაგსა ეტვირთნენ ვეტნი ქუაბთანი. წინათა ვეტთა მიტროპოლიტი შეუდგეს და უკანათა ქადაგი. თუ მწირველი იყოს, თეთრითა შესამოსითა შემოსილ იყოს, თუ მწირველი არა იყოს, თეთრისა ატლასისა ჩაჩი თავსა ებროს მოყუნტვიზილი და მეორეთა ქვაბთა მთავარ ეპისკოპოზი შეუდგეს და წინა მივიდოდეს, და უკანათა ვეტთა მაწყურელ და უკანა მთავარ ეპისკოპოსი მიჰყვებოდეს, და რაჟამს განაზავებდენ ტაკუკსა, ტაკუკა მაწყურელსა ეტვირთოს და რაჟამს განაზაონ ტაკუკი, ქადაგისა ხელითა დაიბეჭდებოდეს და ყოველთა ეპისკოპოსთა თითო-კოკა მირონისა ეტვირთოს. და ვეროვნებ სვეტსა ცხოველსა გარემოადგენ და კათოლიკე ეკკლესიისა გალობასა გალობდენ.

## განგება დარბაზისა.

რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა და ეპისკოპოსნი ამა წესითა დასხდენ: ბრძანოს ქართლისა კათალიკოსმან და დაჯდეს მარჯვენით მეფისა ტახტსა ზედა. მოვიდებით ნატითა და ბალიშითა შემოვიდეს ჭყონდიდელი და დაჯდეს მარცხენით მეფისა ნატითა და ბალიშითა, შემოვიდეს დიდისა სომხითისა მიტ-

როპოლიტი და დაჯდეს კათალიკოზის ქვემოთ ნატითა და ბალიშითა, შემოვიდეს მთავარ ეპისკოპოსი და დაჯდეს მიტროპოლიტისა ქვემოთ ნატითა და უბალიშოდ. შემოვიდეს ამბა ალავერდელი და დაჯდეს ჭყონდიდელსა ქვემოთ ნატითა უბალიშოდ, შემოვიდეს ქისიყელი და დაჯდეს ამბა ალავერდელისა ქვემოთ, უნატოთ. შემოვიდეს გუმურდოელი და დაჯდეს ქისიყელისა ქვემოთ. შემოვიდეს ნინო წმინდელი არხიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელისა ქვემოთ, შემოვიდეს იშხნელი და დაჯდეს გუმურდოელისა ქვემოთა, შემოვიდეს ანჩელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ნინო წმინდელს ქვემოთ. შემოვიდეს მტბევარი და დაჯდეს ანჩელს ქვემოთ. შემოვიდეს წურწყაბელი და დაჯდეს მტბევარს ქვემოთ. შემოვიდეს წყაროს თაველი და დაჯდეს წურწყაბელისა ქვემოთ. შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს წყაროს თაველისა ქვემოთ. შემოვიდეს მანგლელი და დაჯდეს ურბნელსა ქვემოთ. შემოვიდეს წინწყაროელი და დაჯდეს მანგლელს ქვემოთ. შემოვიდეს რუისელი და დაჯდეს წინწყაროელს ქვემოთ, შემოვიდეს წილკნელი და დაჯდეს რუისელსა ქვემოთ, შემოვიდეს კაწარელი და დაჯდეს წილკნელსა ქვემოთ, შემოვიდეს ურბნელი და დაჯდეს კაწარელსა ქვემოთ, შემოვიდეს მროველი და დაჯდეს ურბნელისა ქვემოთ, შემოვიდეს სამთავნელი და დაჯდეს მროველსა ქვემოთ, შემოვიდეს ნიქოზელი და დაჯდეს სამთავნელს ქვემოთ.

აქა მამათ მთავართა.

შემოვიდეს ვალაშკერტელი და დაჯდეს ნიქოზელს ქვემოთ, შემოვიდეს ბოლნელი მამათ მთავარი და დაჯდეს ვალაშკერტელს ქვემოთ, შემოვიდეს ანელი და დაჯდეს ბორნელს ქვემოთ, შემოვიდეს კარელი მამათ მთავარი და დაჯდეს ბოლნელს ქვემოთ, შემოვიდეს ხარჭაშნელი და დაჯდეს კარელს ქვემოთ, შემოვიდეს თფილელი და დაჯდეს ხარჭაშნელს ქვემოთ, შემოვიდეს წალკელი და დაჯდეს ტფილელს ქვემოთ, შემოვიდეს ბანელი და დაჯდეს წალკელს ქვემოთ, შემოვიდეს ჭერამელ ქალაქელი და დაჯდეს ბანელს ქვემოთ, შემოვიდეს დმანელი და დაჯდეს ჭერამელ ქალაქელისა ქვემოთ, შემოვიდეს წხეგოჭელი და დაჯდეს ბედელს ქვემოთ, შემოვიდეს დაბანელი და დაჯდეს დმანელს ქვემოთ, შემოვიდეს გიშელი და დაჯდეს დაბანელს ქვემოთა. მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოისხდენ ეპისკოპოსთა. სეფესაჯდარის მტკირთველსა, ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომა. ვინცა ესე დიდისა მეფეთ მეფისა არჩილის ბრძანებული და განაჩენი და ჩვენ გლახაკისა ქართლისა კათალიკოზისა მიქაელისაგან დამტკიცებული შეურაცხჰყოს და ამას განაჩენსა ურჩებისა პატიჟი მიეხადოს ვითარცა და სჯულისა გარდამავალსა და რომლიცა პატივი აქუნდეს, იგიცა მოუშალოს. ამინ. *)

## ჩემს მკითხველს.

ვინც ამა ქვეყნად სიმართლის თქმისთვის
მტარვალთა ხელთაგან წამებულია,
იცოდეთ მისთვის სასუფეველში
უკვდავ ცხოვრების კარი ხსნილია.

ვისაც ამ ქვეყნად ცხოვრების ბურჯად
შური და მტრობა არ გაუხდია,
მხოლოდ ის არის დიადი კაცი
და მისი ღვაწლი მუდამ დიდია.

მხოლოდ ის არის ხატება მღვთისა
და მასში სუფევს მაღალი სული,
რომელმანც თვისის მოძმის აღდგენას
უმსხვერპლა თვისი ძალი და სული.

უკვდავი არის მხოლოდ ის კაცი,
რომელიც მუდამ ქვეყნისთვის შრომობს,
და მის დამჩაგვრელს ძლიერსა ძალებს
პირ-და-პირ ებრძვის და არა მონობს.

ქაისხოსრო გელოვანი.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

თბილისის კუკიის ალექსანდრო-ნეველის ეკკლესიის დასაშენებლად უწმიდეს სინოდს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის შუამავლობით გამოუგზავნია ოთხი ათასი მანეთი.

* * *

*) მადლობას ვსწირავთ ბ. ზაქარია ივანეს ძეს არჯევანიძეს ამ სიგელის გამოგზავნისათვის და ვაცნობებთ მას მის წერილის პასუხად, რომ ჩვენ დიდის სიამოვნებით მივსცემთ ადგილს ამისთანა სიგელებს «მწყემს»-ში.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეკტემბრის თვიდგან ამა წლისა ამავე ეკკლესიასთან, როგორც გვაუწყებს გაზეთი „კავკაზ"-ი, განუზრახავთ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლის გახსნა. ამ სასწავლებლისათვის მოპოებულ იქმნება შესაფერი შენობა. რომ სწავლების საქმე კარგად წავიდეს ამ სასწავლებელში, ამ ეკკლესიის შემომავალთ განუზრახავთ კომიტეტის აღრჩევა, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა იზრუნოს იმაზედაც, რომ მოწაფეები რიგიანად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი და ჰქონდესთ მათ ყველა სასწავლო ნივთები. სწორეთ საქებურია ამ ეკკლესიის შემომავალთა განზრახვა და არა ნაკლებ პატივის-ცემის ღირსია ამ კეთილი საქმის მოთავეც.

***

გაზეთ „ახალი მიმოხილვა"-ში ვკითხულობთ, რომ ტფილისში ქალაქის დედათა-სახელოსნოში წელს სწავლა გაუთავებიათ 14 ქალსა. ამათში რვა ქალს მიუღია უფროს ხელოსნის მოწმობა და ექვსს—კი ქარგლობისა. სწავლა-გათავებულნი მოდგმით არიან: სომხის ქალი—შვიდი, რუსისა—ოთხი და ქართველისა—სამი.

***

არქეოლოგიურ საზოგადოებას, როგორც გვაუწყებს რუსული გაზეთი „სამშობლო", მოუთხოვნია ეპარქიალურ კანსისტორიებიდგან ცნობანი მასზე, თუ რომელ ეკლესიაზე ანუ ეგუტერზე მოიპოვებიან ძველი, ხუქურთმით გაკეთებულნი ხატები წმ. ნიკოლოზ სასწაულთ მოქმედისა.

***

ისევე გაზეთი გვაუწყებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის თანხმობით, მოუხდენია განკარგულება, რომლის ძალით შემდეგისათვის სოფლის საზოგადოებათ აღკრძალული აქვსთ რაიმე განაჩენის (приговоръ) დადგენა საეკკლესიო მოსამსახურე პირთა აღრჩევის ანუ მათი დათხოვნის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში თემის ანუ სოფლის მოხელენი, რომელნიც შეადგენენ ასეთ უკანონო განაჩენებსა და კიდეც დაამოწმებენ მათ თავის ხელის მოწერითა და ბეჭდის დასხმითა, მიეცემიან პასუხის გებაში.

***

დონის სასულიერო სემინარიაში უკვე შემოუღიათ ელემენტარული გიგიენის (სწავლა ტანის სიმრთელის დაცვაზე) სწავლება. ამ საგნის სწავლება მიუნდვიათ ამა სემინარიის ექიმისათვის.

***

როგორ სჯიან ხოლმე ზოგჯერ საქმეს ზოგიერთი ბრალმდებელნი (прокуроры)! რუსეთის ერთ ქალაქ ვლადიმირში ერთი ვაჭარი ჰყიდდა თურმე ეკკლესიის სანთელს და იმასაც ყალბსა. საეკკლესიო სანთლის გასყიდვა, როგორც ყველამ იცის, კანონით შეუძლიათ მხოლოდ ეკკლესიებს და საეკკლესიო დუქნებს. ამ უკანონო მოქმედებისათვის ვაჭარი მიუციათ პასუხის გებაში. ეს საქმე გარჩეულა სახაზინო პალატაში, რომელსაც, როგორც გვაუწყებს ერთი რუსული გაზეთი, გაუმართლებია ეს ვაჭარი. პროკურორსაც უარი განუცხადებია ვაჭრის პასუხის გებაში მიცემაზე. სახელმწიფო პალატას თავის განჩინების დადგენის დროს უხელმძღვანელია შემდეგი მოსაზრებით: თუმცა ეს ვაჭარი ჰყიდდა სანთელს, რომელიც დანიშნული იყო ეკკლესიებში სახმარებლად, მაგრამ ეს სანთელი არ ყოფილა წმინდა თაფლისა, არამედ ყალბი, მაშასადამე არც ეკკლესიასა ეკუთვნოდა. პალატა კი სდევნის მხოლოდ საეკკლესიო სანთლის უკანონოდ გამსყიდველთა. პროკურორსაც გაუმართლებია ვაჭარი შემდეგი მოსაზრებისა გამო: ბრალდებული ვაჭარი როცა ჰყიდდა ყალბ სანთელს, არ არწმუნებდა მყიდველთ, რომ მისგან გაყიდული სანთელი ნამდვილი წმინდა სანთელი იყო; აქედგან სჩანს, რომ ის განზრახ არ ატყუებდა მყიდველთ. ამიტომ ამ ვაჭრის პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებაო.

***

პალესტინის მართლ-მადიდებელ საზოგადოებას, როგორც გაზეთი „კავკაზი" გვაცნობებს, განუზრახავს გამოცემა პალესტინის და იერუსალიმის წმიდა ადგილებში ახალი გზის მაჩვენებელისა, რომელშიაც იქნებიან ჩართულნი სურათები და ამ ადგილების პლანები.

***

ოც ამ თვეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე გარდაიცვალა მოსკოვში გაზეთის „მოსკოვის უწყებათა" რედაქტორი მ. ნ. კატკოვი თავის მამულ ზნამენსკაში. არ არის დიდი ხანი, რაც ამ გამოჩენილ პუბლიცისტს დამლა დაეცა. თუმცა ექიმებს ყოველივე საშუალება უხმარიათ, მაგრამ შეუბრალებელ სიკვდილს მაინც თავისი უქნია.

***

ერთ მდიდარ ვაჭარს ბ—ვს ჰყოლებია სამი გაუთხოვარი ქალი; ამათში უმცროსი 16 წლის ქალი ევგენია გამხდარა ავად. საცოდავს ასტკივებია ფეხები. მოუწვევიათ ექიმები, რომელთაც იმედი უთქვამსთ ავად-მყოფის მორჩენაზე. დაუწყიათ ექიმობა, მაგრამ ავად-მყოფობა თურმე თან-და-თან მატულობდა. ბოლოს საცოდავი ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მთლად დაკუტებულა, თუმცა ტკივილს კი არაფერსა გრძნობდა საცოდავი. ქიმებს ხელი აუღიათ ქიმობაზე, რადგან ავად-მყოფობა სხეულის სხვა ნაწილებშიაც გავრცელებულა. იმედ დაკარგული მამა გაქცეულა მ. იოანნე კრონშტანტელთან და უთხოვნია მისთვის მის ოჯახში მობრძანება. მ. იოანნე მაშინვე მოსულა ავად-მყოფთან და დაუწყია ავად-მყოფი ქალისათვის ტკბილი მუსაიფი. ქალს აღუთქვამს მ. იოანნესათვის, რომ ის თავის დღეში აღარ ითამაშებს და არც ტეატრში წავა, თუმცა კი ეხლა მას შეეწევა ღმერთი და განიკურნება სენისაგან. მ. იოანნეს მოსვლას ძალიან გაუმხნევებია თურმე როგორც ავად-მყოფი, ისე მშობლები. მ. იოანნეს წასვლის შემდეგ ავად-მყოფი თურმე თან-და-თან უკეთა გრძნობდა თავის თავს და რამდენიმე ხნის შემდეგ მთლად განთავისუფლებულა ის სნეულებისაგან.

## სიტყვა,

თქმული 23 ივნისს 1887 წ., ილია სოლაღოვის მეუღლის ნატალიას დასაფლავებაზედ.

ჩვენ სიცოცხლეს მრავალი სიმწარე სჭირს, მაგრამ ყველაზედ უმწარესი სიკვდილია. სიკვდილის სიმწარე გამოუთქმელია, ამიტომ რომ მით სწყდება იმედი, გული აღარა სძგერს, სიცოცხლე აოხრებულია. ყველა ამას აგრძნობინებს კაცს სიკვდილი.—მართლადაც, გუშინ ჰხედავდით ცოცხალს ადამიანს, მოსაქმეს, მოაზრეს, მხნეს,—მაგრამ დღეს გადაბრუნდა, დახუჭა საუკუნოდ თვალი, უსულდგმულოა და მხოლოდ თვალ-წინ წარმოიდგენთ მიცვალებულის სიტყვასა, ლაპარაკს და საქციელს.

ესრეთ მდგომარეობას კაცი ეძლევა მიუწთომელი განგებისაგან, იმ განგებისაგან, რომელიც წინადაა განზრახული. აი ამ ღვთის განკარგულებამ მოიყვანა აღსრულებაში ის წესი, რომელიც სუფევს ჩვენს ბუნებაში, სახელდობრ: დაუნდობელმა და მუხთალმა სიკვდილმან უდროოდ მოსპო, გარდაცვალა მხევალი ღვთისა ნატალია ამიერ ქვეყნიდამ; სიკვდილმა მოაშორა ის ყმაწვილს ქმარს, ოთხს პატარა შვილს, მოაშორა მოხუცებულ საყვარელ დედმამას, საყვარელს ქმრის მშობელთა, მოაშორა შეტკბობილს ოჯახს, იმ ოჯახს, რომლისთვისაც ძვირფასი იყო, რომლის ბურჯი, მომელელი და საყვარელი იყო იგი.—ვიმეორებ, ღვთის განგებამ თავისი აღასრულა. საყვარელმა გულმტკივნეულმა ქმარმა, მოხუცებულ მშობელთა და ნათესავთა საზოგადოდ ყოველი ღონის ძიება და საშუალება იხმარეს, არ დაზოგეს არც ფული და არც სხვა რაიმე, მოდალეს მკურნალები გარდაცვალებულის მოსარჩენად, მაგრამ სნეულებამ თავისი შეასრულა.—ჩანს სიკვდილი მისთვის აუცილებელი იყო, ავათმყოფობა სასიკვდინე ყოფილა —იგი მოჰკვდა ყმაწვილობის დროს, მოშორდა საუკუნოდ ყმაწვილს ქმარს, დასტოვა შვილები ობლად, უპატრონოდ, უალერსოდ. მოჰკვდა ყმაწვილი ქალი, მხნე და გონიერი ქართველი დედა. ეს დაუღალავი მშრომელი თავის ოჯახისა ყოველივეს ტვირთულობდა შეძლებისა-და-გვარად,—მეტად საყვარელი იყო ის არა თუ მთელი ოჯახისათვის, აგრეთვე ის პატივსცემდა, რაც კი შეეძლო, მცნობთა და მეზობელთაც.

—სიკვდილი ძმისა, მეგობრისა და ნათესავთა ჭეშმარიტად რომ გულსაკლავი და გულს ცეცხლ მომკიდებელია, მაგრამ სიკვდილი მეუღლისა მეტად მოუნელებელია. წარმოიდგინოთ: სიყვარული, შრომა, შვილების მოვლა და მათთან ტკბილი ალერსი, ქმრის და ოჯახის გაძღოლა,—ამაებს ყველას სტოვებს; სტოვებს ქმარს, საუკუნოდ ესალმება. მეტად ძნელი მოსანელებელია, მძიმე და გამოუთქმელი მწუხარება გულსა სწყლავს.

საოცარი და არა სანატრელი მოვლინებაა სიკვდილი ჩვენს წუთი სოფელში! საკვირველებაა, რომ გონიერი არსება, ღვთის მსგავსება, სავსე ჭკუითა და გონებით, რომელიც მინიჭებული აქვს უზენაეს არსებისაგან,—სცოცხლებს, სიამოვნებს, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა უცებ კვდება. ეს მკვდარი უნდა დალპეს მიწაში, მტვრად გარდაიქცეს. მაგრამ ღვთის განგებითვე ეს მიწად და მტვრად გარდაქცეული არსება ოდესმე გაცოცხლდება, აღსდგება და დაიწყებს ხელმეორედ განსხვავებულ ცხოვრებას.

აი საკვირველება, მსმენელნო! თუმცა ათასობით ვხედავთ დამამტკიცებელს ფაქტებს ჩვენის სიკვდილისას, მაინც არ ვფიქრობთ, რომ ჩვენც ოდესმე დავიხოცებით. როდესაც ყველანი იხოცებიან, ჩვენ თითქო არა გვჯერა, რომ დავიხოცებით. ეს რისგანაა?—იმისგან, სხვათა შორის, რომ ჩვენ ნამდვილად არ მოვკვდებით. დიახ, ჩვენ უკვდავნი ვართ. ჩვენ საუკუნოდ ვიცხოვრებთ. ჩვენი ხორცი დალპება, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირღვევა ჩვენი აგებულება, მაგრამ სული არ დაირღვევა და არც განიხრწნება. მისი დაღუპობა და განხრწნა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც სიკვდილის დროს საფიქრებელია, რომ ვსთქვათ, „ჩვენ არ დავიხოცებითო.“ ამიტომ ჩვენთვის სიკვდილი თითქო დროებითი მიძინებაა.

აი წყარო ნუგეშისცემისა, მცნობნო, მახლობელნო და ნათესავნო ამა მიცვალებულისა! ჭეშმარიტად, რომ თქვენი გარდაცვალებული არ მომკვდარა, მან მხოლოდ დროებით მიიძინა, მას ეხლა სძინავს. დიახ, ეხლა ამან დაივიწყა ის შრომა, ის ჯაფა, რომელნიც მას სიცოცხლეში წილად ხვდა.

ჩვენც, ჩვენის მხრით, პატიოსანნო მსმენელნო, გარდუხადოთ უკანასკნელი ვალი, შევავედროთ ღმერთს მიცვალებულის სული, რომ უფალმა მიანიჭოს განსვენებულს საუკუნო განსვენება იქ, სადაცა ყოველნი მართალნი მკვიდრობენ,—შევსთხოვოთ, რომ მგლოვარეთა და ტკივნეულთა ნუგეში სცეს მაცხოვარმან და მისცეს მათ მოთმინება ესრეთს გამოუთქმელს მწუხარებაში აწდა მარადის. ამინ!

გორის სობორის მღვდელი იოელ გამრეკელი.

# მღვდელთა საყურადღებოთ

## მამაო რედაქტორო!

ოთხი წელიწადია, რაც თქვენი თაოსნობით და მეცადინეობით გამოდის სასულიერო გაზეთი „მწყემსი.“ ამ ოთხი წლის განმავლობაში ამ გაზეთის საშუალებით ბევრი საეჭვო კითხვები აიხსნა. დღეს მე მსურს, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით განმარტებულ იქმნეს შემდეგი კითხვა, რომლის ცოდნა საჭიროა ყველასათვის.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ერთს და იმავე ეკკლესიაში მწირველი არის ორი, სამი, ოთხი და ხან მეტი მღვდელი. წირვის დროს უპირატესობა, რასაკვირველია, ეძლევა მათ შორის უმფროს ხნით, ანუ ჯილდოთი და ანუ სწავლით; მაგრამ ეს რიგი ერთნაირად არ სრულდება ყველგან. ხშირად გვინახავს, რომ დეკანოზი ყოფილიყოს უპირატესი აკადემიაში სწავლა დამთავრებულ-მღვდელზე, და ხან აკადემიაში სწავლა დამთავრებული-დეკანოზზე; მომხდარა, რომ სემინარიაში კურს-შესრულებული მღვდელი იყო უპირატესი 25 წლის ნამსახურ და კამილავკით დაჯილდოებულ მღვდელზედ. გვინახავს ისიც, რომ ოთხ-კ[illegible]ულიერო სასწავლებელში კურს-შესრულებული აკ[illegible] იყო ხოლმე უპირატესი მკერდის ჯვრით დაჯილდოებულ მღვდელზედ. ამ საგნის შესახებ ხშირად მოხდება ხოლმე ზოგიერთა თავ-მოყვარე მღვდელთა შორის ბასი და განხეთქილება. ამისათვის ვსთხოვ რედაქციას განმარტოს შემდეგი: ეს უპირატესობა დამოკიდებულია ხნოვანობაზე, ჯილდოზე სწავლაზედ, თუ პირადობაზე?

მღვ. გ. ჯ—ია.

---

უმცროს-უფროსობა ძლიერ კარგად არის განსაზღვრული და გარკვეული მოციქულთა და წმიდა მამათა დადგენილ წესდებასა და კანონებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ წესთა და კანონთა აღსრულებაზე ჯეროვანი ყურადღება არა არის მიქცეული. წმიდა მამათა კანონებით რომ განვსაჯოთ, მედავითნეს არა თუ არა აქვს უფლება მთავარ-დიაკონზე წინ დადგეს, არამედ მის ნება-დაურთველად ვერც კი დაჯდება მასთან მედავითნე. მთავარ-დიაკვანს არა აქვს უფლება მღვდელთან დაჯდეს, თუ ამ უკანასკნელმა ნება არ მისცა მას დაჯდომისა. წირვის და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების დროს წინ დადგომა სხვა მღვდელთა თანა დასწრებით მხოლოდ მას შეუძლია, რასაკვირველია, რომელიც უფროსია ნამსახურებით და განსხვავებული ჯილდოთი. მარტო სემინარიაში ანუ აკადემიაში კურსის შესრულებით მღვდელი წინ ვერ დაუდგება სხვა დიდი ხნის ნამსახურ და დაჯილდოებულს მღვდელს, კიდეც რომ არა ჰქონდეს მას სასაშუალო და მაღალ სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული; მაგრამ თუ ახლად ნაკურთხი მღვდელი უმფროსად არის დანიშნული, ვსთქვათ, მაგალითებრ, ბლაღოჩინად, მაშინ წინ სდგება იგი ყველა მისდამი რწმუნებულ დამსახურებულ მღვდლებზე, მაგრამ მღვდელს არა აქვს უფლება დეკანოზის წინ დადგეს, როგორც დეკანოზს არა აქვს უფლება არქიმანდრიტის წინ დადგომისა დიდი დამსახურებულიც რომ იყოს უკანასკნელზე.

იმედი გვაქვს, რომ მღვდელთ-მთავრები მიაქცევენ ამ საგანს ყურადღებას და ვალად დაუდგენენ მღვდლებს დაიცვან თვის შორის უნცროს-უმფროსობის რიგი და წესი, რომლითაც მოისპობა უთანხმოება სამღვდელო პირთა შორის.

**გორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ რომელთაც გორის სასულიერო სასწავლებელში ყმაწვილების მიბარება ჰსურთ, მათ უნდა მისცენ თხოვნა სასწავლებლის ზედამხედველსა აგვისტოს პირველი რიცხვიდამ ოცდახუთამდე; თხოვნის გარდა მთხოვნელთა უნდა წარადგინონ მოწმობა ყმაწვილის ნათლობისა და მასზედ, რომ ყმაწვილს ან უხდია და ან აცრილი აქვს ყვავილი.

სასწავლებელში მისაღებად ყმაწვილების გამოცდა იქნება აგვისტოს 28 და 29-სა.

მოსამზადებელი კლასის პირველს განყოფილებაში ყმაწვილები მიიღებიან გამოუცდელად.

(3—2)

## განცხადება.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები

თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ქვირილაში: ქვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

**საქართველოს საეკლესიო ისტორია,**

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

**ქართული ლოცვანი,**

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

**სახელმძღვანელო წიგნი,**

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

**ახალი კარაბადინი,**

ფასი ყდით ერთი მან.

**მცხეთის ტაძარი**

**და**

**წმიდა ნინო,**

ქართველთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

---

ბლაღოჩინების საყურადღებოდ

ბლაღოჩინებს, რომელნიც მთელი სამბლაღოჩინოს ეკლესიებისათვის დაიბარებენ შაკი მეტრიკებს და ალსარების სიებისათვის საჭირო ბლანკები, თითო კაპეიკათ გაეგზავნება ფურცელი ხსენებულს საბუთებისა.

შინაარსი: რა არის საჭირო მწყემსთა და სამწყსოთა შორის სასურველი განწყობილებისა და დამოკიდებულებისათვის?—ჩემი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები რუსეთში მოგზაურობის დროს.—შორაპნის მაზრიდამ.—აფხაზეთიდამ.—ს. კოთელიიდამ.—ადრიანოპოლიდამ.—გელათის მონასტერი.—საისტორიო მასალა.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—სიტყვა.—მღვდელთა საყურადღებოდ.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 29 Іюля.*

საკუთარი მსწრ... რედაქციისა.